საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/125

ქ. ბათუმი

03 ოქტომბერი, 2018 წელი

,,2017 წლის საშემოდგომო მიღებისა და 2018 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის 2018 წლის შემოდგომის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 31 ივლისის N01-08/96 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №30 დადგენილების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის სამსახურის უფროსის მამუკა გოგელიას 2018 წლის 2 ოქტომბრის MES 1255140 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2017 წლის საშემოდგომო მიღებისა და 2018 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის 2018 წლის შემოდგომის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 31 ივლისის N01-08/96 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. 2017 წლის საშემოდგომო მიღებისა და 2018 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის 2018 (შემოდგომის) და 2019 წლებში (გაზაფხულის) სასწავლო პროცესის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1.1. 2018 წლის სააუდიტორიო მეცადინეობები - 2018 წლის 8 ოქტომბრიდან 2018 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით;

1.2. ზამთრის არდადეგები - 2018 წლის 30 დეკემბრიდან 2019 წლის 13 იანვრის ჩათვლით.

1.3. 2019 წლის სააუდიტორიო მეცადინეობები - 2019 წლის 14 იანვრიდან 29 ივნისის ჩათვლით."

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების შესაბამისი განცხადების ბსუ - ს ვებგვერდზე განთავსება (ველში ,,პროფესიული პროგრამები").

4. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**